განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

არქეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 21/10/2021 – 22/10/2021

დასკვნის პროექტის წარდგენის თარიღი:

22 ნოემბერი

თბილისი
2021

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211349192
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	არქეოლოგია
განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით	არქეოლოგიის ბაკალავრი (Bachelor in Archaeology)
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	პირობით აკრედიტებული 02/03/2020, № 17, 2020 წლის 13 ივლისის #596746 გადაწყვეტილებ ებით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ემზარ კახიძე, სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	კონსტანტინე ფიცხელაური, სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	სოფიო უგრეხელიძე - სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნანა ფირცხელანი, შპს კავკასიის უნივერსიტეტი

- ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას, აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 2 მარტის №17 გადაწყვეტილებით, მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია. პროგრამის შეფასების დროს ექსპერტების მიერ გამოთქმული შენიშვნები და რეკომენდაციები გაზიარებულ იქნა აკრედიტაციის საბჭოს მიერ. რიგი რეკომენდაციებისა დაწესებულების მიერ გათვალისწინებული და შესრულებულია. 5.2 სტანდარტის თაობაზე დაწესებულებას მიეცა რჩევა უფრო მეტად განეხორციელებინა დამსაქმებელთა ჩართულობა პროგრამის განვითარების მიზნებისათვის. ამდენად, როგორც თვითშეფასებაშია აღნიშნული, განახლებული პროგრამა შეფასებისათვის გაეგზავნა პარტნიორ დაწესებულებებსა და დამსაქმებლებს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები, ასევე უკუკავშირი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისგან.
პროგრამის შემოწმება განხორციელდა 21-22 ოქტომბერს, კომბინირებული წესით. ინტერვიუები წარიმართა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, ხოლო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა შემოწმდა ადგილზე ვიზიტით.
საბაკალავრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე (1 კრედიტი უდრის 25 საათს). პროგრამის ხანგრძლივობაა 4 აკადემიური წელი (8 სემესტრი). პროგრამის მოცულობაა 240 კრედიტი, აქედან 35 კრედიტი თავისუფალი კომპონენტია, ხოლო ძირითადი სწავლის სფეროს ეთმობა 205 ECTS კრედიტი, საიდანაც 170 კრედიტი სპეციალობის სავალდებულო თეორიული კურსებია, 5 არჩევითი, 20 კრედიტი საველე და სამუზეუმო პრაქტიკა, 10 კი საბაკალავრო ნაშრომი.

- აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

ექსპერტთა ჯგუფმა, შეისწავლა სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია. 21 ოქტომბერს ონლაინ შეხვედრები ჩატარდა უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, უსდ-ისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელებთან; მოხდა პროგრამის აკადემიური პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების ინტერვიუირება; შეფასდა 5.2 სტანდარტის თაობაზე დაწესებულებისთვის მიცემული რჩევა, რომელიც ითვალისწინებდა უსდ-ს უფრო მეტად განეხორციელებინა დამსაქმებელთა ჩართულობა პროგრამის განვითარების მიზნებისათვის. ამდენად, როგორც თვითშეფასებაშია აღნიშნული, განახლებული პროგრამა შეფასებისათვის გაეგზავნა პარტნიორ დაწესებულებებსა და დამსაქმებლებს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები, ასევე უკუკავშირი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისგან. სამუშაო დღის ბოლოს ჯგუფმა გასაუბრებების ფარგლებში გამოკვეთილი ძირითადი მიგნებები გააცნო დაწესებულების წარმომადგენლებს. 22 ოქტომბერს ჯგუფმა მოინახულა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კერძოდ: არქეოლოგიის

სასწავლო-კვლევითი ლაბორატორია, პეტროგრაფიული კვლევის ლაბორატორია, მინერარლოგიის ლაბორატორია, რენტგენოფლოურეცენტრული ლაბორატორია, გემოლოგიის ლაბორტორია, აგრეთვე ბიბლიოთეკა და ახლადგახსნილი სამთო-გეოლოგიური ტექნოლოგიების ცენტრი.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

ექსპერტების მიერ განხორციელდა ხუთივე სტანდარტის შეფასება.

შეფასდა არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის შესაბამისობა ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან მიმართებაში. დადგინდა, რომ არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამა შეესაბამება ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს. აღსანიშნავია, რომ პროგრამა პრინციპში შეესაბამება ახლადმიღებულ უმაღლესი განათლების I საფეხურის არქეოლოგიის დარგობრივ მახასიათებლებს: არქეოლოგიის სწავლების საერთაშორისო სტანდარტებს, განათლებისა და სწავლების ლიბერალურ პრინციპებს, ორიენტირებულია ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების დამკვიდრებაზე, საზოგადოების ინტელექტუალური და კულტურული განვითარების ხელშეწყობაზე, ტრადიციისა და ინოვაციის ლოგიკურ შერწყმაზე, სტუდენტის პიროვნულ და პროფესიულ განვითარებაზე, დასაქმების ბაზრისთვის კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებაზე და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არქეოლოგიურ მეცნიერებაში საყოველთაოდ აღიარებული საბაზო ცოდნისა და უნარების პროფესიონალურად გამოყენება - ესაა საბაზო კვლევითი უნარები, სწავლების ინტერკულტურული მხარე, ძეგლებისა და არტეფაქტების შექმნისა და გამოყენების ქრონოლოგიური ჩარჩოები, თუ თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისად კვლევა, მომიჯნავე, დამხმარე დისციპლინებისა და ციფრული ტექნოლოგიების საფუძვლების ცოდნა, აგრეთვე საველე თუ სამუზეუმეო პრაქტიკის ფართო დანერგვით პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება. შესაბამისად, სტანდარებისა და ქვესტანდარტების მიხედვით, პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად:

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.1.პროგრამის მიზნები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.2.პროგრამის სწავლის შედეგები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.1.პროგრამაზე დაშვების წინაპირობები - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

2.2.საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

2.3.სასწავლო კურსი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

2.4.პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

2.5.სწავლება-სწავლის მეთოდები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

2.6.სტუდენტების შეფასება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3.1.სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

3.2.მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა - არ ფასდება;

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.1.ადამიანური რესურსი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

4.2.აკადემიური, სამეცნიერი და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

4.3.მატერიალური რესურსი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

4.4.პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.1. შიდა ხარისხის შეფასება - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

5.2. გარე ხარისხის შეფასება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

5.3.პროგრამის მონოტორინგი და პერიოდული შეფასება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;.

რეკომენდაციები პროგრამის განვითარებისთვის:

2.1. რეკომენდებულია, არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში დაშვების წინაპირობები (როგორც ერთიანი ეროვნული გამოცდების, ისე ეროვნული გამოცდების გარეშე) ამომწურავად და სრულყოფილად იქნეს გაწერილი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
4.4. უფრო გამჭირვალე უნდა გახდეს არქეოლოგიური პრაქტიკისათვის თანხის გამოყოფის მექანიზმი;
5.1. რეკომენდებულია, აკადემიური პერსონალი და პროგრამის ხელმძღვანელი უფრო ინტენსიურად თანამშრომლობდეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, შესაბამისი შეფასების შედეგების ანალიზი საფუძველზე კი ხორციელდებოდეს ღონისძიებების დაგეგმვა პროგრამის შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესებისათვის.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის:

- უმაღლესი განათლების განვითარების ბოლოდროინდელი ტენდენციებიდან გამომდინარე, პროგრამის მესვეურებს ვურჩევთ გააღრმავონ სწავლების ინტერნაციონალიზაცია;
- უცხოურ ენაში - ინგლისურში, ჩასამატებელია პროფესიული ენის სწავლის კურსი;
- ყურადღებაა გასამახვილებელი „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ კანონის უფრო ფუნდამენტურ გაცნობაზე;
- არქეოლოგიური პრაქტიკის განხორციელებისათვის უნივერსიტეტს ესაჭიროება უფრო მდგრადი პირობები;
- სასურველია, დაჩქარდეს პლაგიატის პროგრამის დანერგვისაკენ მიმართული ღონისძიებები, რათა მოხდეს სტუდენტთა ნაშრომების აკადემიური

კეთილსინდისიერების პრინციპების გათვალისწინებით შესრულება;

- სასურველია, შეძლებისდაგვარად, ხელი შეეწყოს უფრო მეტი სტუდენტის ჩართულობას საველე საქმიანობასა და პრაქტიკულ ღონისძიებებში.
- ზოგიერთ სპეციალიზაციის განმსაზღვრელ საგანში, უპრიანი იქნება მოწვეული პროფესიონალების გამოყენება, რაც კიდევ უფრო მეტად უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- სასურველია არსებული ლაბორატორიების შემდგომი ტექნიკური მოდერნიზაცია;
- მიზანშეწონილია, დაწესებულებამ დროულად უზრუნველყოს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების განსაზღვრისა და პრაქტიკაში გამოყენების წესის ერთიანი აქტის დამტკიცება და შემდგომ დანერგვა, რომელიც სავალდებულოდ მოაწესრიგებს კანონმდებლობით დადგენილ პროცესებს უნივერსიტეტის საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებისათვის და რომელიც დაადგენს ამ მექანიზმების გამოყენების სავალდებულო პროცედურებს, მათი განხორციელების წესებსა და პასუხისმგებელ სუბიექტებს.
- მიზანშეწონილია უსდ-მ უზრუნველყოს გარე შეფასების მექანიზმების (დამსაქმებელთა ჩართულობა, კოლეგიალური შეფასება, სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა) რეგულარულად და უფრო მეტი ინტენსივობით გამოყენება და აღნიშნულ მექანიზმს არ ჰქონდეს ფორმალური ხასიათი.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**
- **განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

წარმოდგენილი დოკუმენტაციიის ანალიზიდან ირკვევა, რომ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში უკვე ნათლადაა წარმოდგენილი საბაკალავრო სწავლების დონისათვის შესაბამისი კვლევითი და პრაქტიკული უნარების ფორმირების პროცესი და თანმიმდევრობა.

მოდერნიზებული საბაკალავრო პროგრამის ძირითადი და სპეციალიზაციის განმსაზღვრელი საგნები ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირშია. დამატებულია არქეოლოგიის ყველა ქრონოლოგიური კურსი, რომელიც მთლიანად აკმაყოფილებს დარგის შესწავლისთვის აუცილებელ მოთხოვნებს, აგრეთვე მოდერნიზებულია დამხმარე ტექნიკური დისციპლინები, სადაც მოხდა შინაარსის, შედეგებისა და მიზნების თავსებადობა და ლოგიკური კავშირის უზრუნველყოფა.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები,

რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მიზანია მაღალკვალიფიციური, არქეოლოგიური კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიებს დაუფლებული, საველე და თეორიული არქეოლოგიური სამუშაოების განხორციელებისთვის აუცილებელი კომპეტენციისა და პრაქტიკული უნარების მქონე პროფესიონალების მომზადება. შეფასებული პროგრამა თანხვედრაშია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მისიასთან, რაც გულისხმობს სტუდენტებისთვის ცოდნის საზღვრების გაფართოებას და განათლებული, ჰარმონიული პიროვნებების ჩამოყალიბებას, რომლებმაც პროფესიული საქმიანობითა და მეცნიერული მიღწევებით თავიანთი წვლილი უნდა შეიტანონ ჰუმანურ და დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებული სახელმწიფოს ჩამოყალიბების საქმეში. პროგრამაში საკმაოდ ნათლადაა წარმოდგენილი საბაკალავრო სწავლების დონისათვის შესაბამისი კვლევითი და პრაქტიკული უნარების ფორმირების პროცესი და თანმიმდევრობა, რასაც ადასტურებს მასში გათვალისწინებული, თანამედროვე სტანდარტებზე ორიენტირებული თეორიული და პრაქტიკული კურსების სინთეზი. ○ პროგრამა ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე, რისთვისაც ამ პროგრამის კურიკულუმებით გათვალისწინებულია მომიჯნავე და არქეოლოგისთვის მნიშვნელოვანი ისეთი დისციპლინების სწავლება, როგორიცაა სახვითი ხელოვნების პროფესიული აღწერა, შრომის უსაფრთხოება არქეოლოგიაში, მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, შესავალი არქიტექტურაში, პალეოლითმცოდნეობა, მასალათმცოდენობა, მინეროლოგიის შესავალი, საველე პრაქტიკა, დაზვერვითი სამუშაოები, რესტავრაცია-კონსერვაციის საფუძვლები, ხატვა, არქეოგეოფიზიკა, სიძველეთა ტექნიკური ანალიზი, გეოეკოლოგია და სხვ. შესაბამისად, კურსდამთავრებული არქეოლოგიის ბაკალავრი, ამ დისციპლინების სათანადოდ ათვისების შემთხვევაში, დასაქმების ბაზარზე რამდენიმე უპირატესობით აღჭურვილი წარდგება. პროგრამა ასევე შეესაბამება არქეოლოგიაში ახლახანს მიღებულ დარგობრივ მახასიათებლებს, სწავლის მიზნებსა და შედეგებს, კერძოდ ბაკალავრიატის კურსდამთავრებული აცნობიერებს არქეოლოგიის მნიშვნელობას კაცობრიობის წარსულის შესწავლისა და ისტორიული პროცესების გააზრებისთვის, განიხილავს

მას სხვადასხვა პერსპექტივიდან; ავლენს ფართო ცოდნას არქეოლოგიის დარგის განვითარების ძირითადი ეტაპების, არქეოლოგიის დარგობრივი ტერმინოლოგიის, თეორიების, მიდგომების, მეთოდების, არქეოლოგიური ძეგლებისა და არტეფაქტების პერიოდიზაციისა და დათარიღების პრინციპების შესახებ; არქეოლოგიურ მონაცემების მოპოვებისას წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად იყენებს დარგისთვის სპეციფიურ უნარებს; განიხილავს არქეოლოგიური აღმოჩენების შესახებ ტრადიციულ მოსაზრებებს, ახდენს სხვადასხვა არქეოლოგიური მასალის ფორმისა და შინაარსის ინტერპრეტაციასა და ანალიზს; საბიბლიოთეკო რესურსებისა და ელექტრონული სამეცნიერო ბაზების საშუალებით მოიძიებს რელევანტურ აკადემიურ წყაროებს, აგროვებს მონაცემებს და აანალიზებს მათ; სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან ზეპირი და წერილობითი კომუნიკაციისას ეფექტიანად იყენებს ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს; ინტერდისციპლინურ გარემოში მუშაობისას ეფუძნება გუნდურობის, დროის ეფექტიანი მართვის პრინციპებს; არქეოლოგიური ინფორმაციის აღწერისას და ინტერპრეტაციისას იცავს მიუკერძოებლობის, ობიექტურობისა და აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს; აცნობიერებს ცალკეული არქეოლოგიური კულტურებისა და ცივილიზაციების შესახებ არსებულ განსხვავებულ ღირებულებებს, იდეებსა და შეხედულებებს - როგორც მსოფლიო ფასეულობათა ნაწილს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ უნივერსიტეტის მისია.
რეკომენდაციები: ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა v შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

○ შეფასებული პროგრამის სასწავლო კურსების შინაარსი, სწავლების მეთოდები და მოცულობა, შედგენილია სწავლის შედეგების მიღწევების გათვალისწინებით. კურსებში წარმოდგენილი სწავლების მეთოდები და კრედიტების რაოდენობა, სასწავლო კურსების შინაარსის შესატყვისია და უზრუნველყოფს სწავლის შედეგზე გასვლას.

○ არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამა ლექციების, დისკუსიების, საველე-არქეოლოგიური და სამუზეუმო პრაქტიკის, ყოველკვირეული შეფასების, შუალედური და ფინალური შეფასებების, პრეზენტაციების, რეფერატების მომზადების, საბაკალავრო ნაშრომების მომზადება/დაცვის ფორმატში გამოიყენებს პროგრამის სპეციფიკისთვის რელევანტურ მეთოდებს, რომელთა ერთობლიობა უზრუნველყოფს სწავლის სასურველი შედეგების მიღწევას. მნიშვნელოვნად გაზრდილია უცხოური ენის სწავლების მასშტაბები, რაც სამომავლოდ ხელს შეუწყობს სწავლების ინტერნაციონალიზაციას.

○ პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მინიჭებული კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

○ პროგრამის საბაკალავრო დებულება;
○ არქეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა;
○ სასწავლო კურსების სილაბუსები;
○ უნივერსიტეტის ვებ-გვერდი (www.ug.edu.ge).

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა v შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია	ნაწილობრივ შესაბამისობაშია	არ არის შესაბამისობაში
		მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	V			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, რომლის თანახმად არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის უფლება სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე პირს, კანონმდებლობით დადგენილი წესით._წარმოდგენილ პროგრამაზე განსაზღვრული მიღების წინაპირობა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ-გვერდიდან (www.gtu.ge), აგრეთვე პროგრამის ხელმძღვანელთან პირადი კონსულტაციების საფუძველზე.

თუმცა, აღსანიშნავია, რომ პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობებში, თვითშეფასებაში მოცემული სხვა მეთოდები, როგორიცაა ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე სტუდენტთა ჩარიცხვა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ დადგენილი წესით, ჩასამატებელია არქეოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამაში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობა და პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გაწერილ იყოს ამომწურავად, ნათლად და გამჭირვალედ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები პროგრამის განვითარებისთვის

რეკომენდირებულია, არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამაში დაშვების წინაპირობები (როგორც ერთიანი ეროვნული გამოცდების, ისე ეროვნული გამოცდების გარეშე) ამომწურავად და სრულყოფილად იქნეს გაწერილი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

v მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულისთვის მისანიჭებელი კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. კერძოდ, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიხედვით არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულისათვის მისანიჭებელი კვალიფიკაცია სრულად აკმაყოფილებს სტანდარტების მოთხოვნას.
- შეფასებულ სასწავლო პროგრამაში შემავალი სასწავლო კურსების კომპონენტები თანამიმდევრულია, ლოგიკურია შემდგომ კომპონენტზე დაშვება. სასწავლო კურსებს, ძირითადად, არ გააჩნიათ წინაპირობები და თანმიმდევრულობა განსაზღვრულია სემესტრული განაწილების გზით. სასწავლო კურსები

განაწილებულია მასალის თანდათანობითი გართულების პრინციპით.

- საბაკალავრო პროგრამის ძირითადი (სპეციალობის განმსაზღვრელი) და სპეციალური მოდულის (სპეციალიზაციის განმსაზღვრელი) საგნები ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირშია, უზრუნველყოფს სილაბუსით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს და ერთობლიობაში განაპირობებს საბაკალავრო პროგრამის მიერ დასახული სწავლის საერთო შედეგების მიღწევას.
- პროგრამაში შემავალი 240 ECTS კრედიტი (8 სემესტრის განმავლობაში) ნაწილდება შემდეგნაირად: 35 კრედიტი თავისუფალი კომპონენტია, ხოლო ძირითადი სწავლის სფეროს ეთმობა 205 ECTS კრედიტი, საიდანაც 170 კრედიტი სპეციალობის სავალდებულო თეორიული კურსებია, 5 არჩევითი, 20 კრედიტი საველე და სამუზეუმო პრაქტიკა, 10 კი საბაკალავრო ნაშრომი..
- საბაკალავრო ნაშრომი 10 კრედიტიანია. კურიკულუმი ითვალისწინებს სამუზეუმო პრაქტიკას (5 კრედიტი) და საველე არქეოლოგიურ პრაქტიკაში (15 კრედიტი) სტუდენტის აუცილებელ მონაწილეობას.
- სასწავლო კურსების განხორციელებისას გამოიყენება სწავლისა და სწავლების მრავალფეროვანი მეთოდები ლექცია, სემინარები, ჯგუფური მუშაობა, ზეპირი გამოკითხვა, პრეზენტაციები და ა.შ.
- შეფასებული სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ენიჭება კვალიფიკაცია არქეოლოგიის ბაკალავრი. პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტების (სავალდებულო და არჩევითი საგნები), კვლევითი (საბაკალავრო ნაშრომი) და პრაქტიკული (საველე- არქეოლოგიური და სამუზეუმო პრაქტიკა) კურსების ერთობლიობით შეძენილი ცოდნა უზრუნველყოფს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს შესაბამისი საფეხურის აღმწერის საბაკალავრო დონის სწავლის შედეგებს.

სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმთან დაკავშირებით, ექსპერტები ვადასტურებთ, რომ ის რეალისტური და გაზომვადია. კარგადაა აღწერილი შედეგების შეფასების მექანიზმები, ხოლო თვითშეფასების ანგარიშში მოტანილი პროგრამის სასწავლო გეგმის რუკა მიუთითებს თითოეული კურსის სწავლის შედეგების შესაბამისობას პროგრამის მიზნებთან და ამოცანებთან. სწავლის შედეგები რამდენიმე კრიტერიუმით იზომება პრეზენტაციების, გამოქვეყნებული ნაშრომების, დასაქმების ინდიკატორების და, რაც მთავარია, სასწავლო და კვლევითი კომპონენტების ათვისების მექანიზმებით.

ექსპერტები ხაზს ვუსვამთ არქეოლოგიური პრაქტიკისა და ლაბორატორიული კვლევების უნარ-ჩვევების ათვისების მექანიზმების რელევანტურობას პროგრამის მიზნებთან შესაბამისად, აგრეთვე სხვა დარგებთან, განსაკუთრებით საბუნებისმეტყველო კურსებთან ურთიერთკავშირს. მნიშვნელოვანია ის, რომ სტუდენტი ვალდებულია წარმოადგინოს საველე მუშაობის პრაქტიკის დღიური, რაც ხელს შეუწყობს მის შემდგომ პროფესიულ ზრდას, ამზადებს მას საჯარო პრეზენტაციებისათვის, აძლევს ცოდნას საბაკალავრო ნაშრომის თემატიკის ირგვლივ და უვითარებს მომიჯნავე დარგებში ცოდნის კომპეტენციებს. პროფესორის დახმარების სავალდებულო კომპონენტი ასევე დადებითი ფაქტორია, ვინაიდან ეს სტუდენტის აკადემიური უნარ-ჩვევების განვითარებას უწყობს ხელს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

v შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ○ წარმოდგენილი დოკუმენტაციიის ანალიზიდან ირკვევა, რომ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში ნათლადაა წარმოდგენილი საბაკალავრო სწავლების დონისათვის შესაბამისი კვლევითი და პრაქტიკული უნარების ფორმირების პროცესი და თანმიმდევრობა. ○ მოდერნიზებული პროგრამის ძირითადი და სპეციალიზაციის განმსაზღვრელი საგნები ერთმანეთთან ლოგიკურ კავშირშია. ქრონოლოგიურად ათვისებულია ყველა მნიშვნელოვანი ეპოქა, რომელიც მთლიანად აკმაყოფილებს დარგის შესწავლისთვის აუცილებელ მოთხოვნებს, აგრეთვე დამატებულია საბუნებისმეტყველო დისციპლინები, სადაც მოხდა შინაარსის, შედეგებისა და მიზნების თავსებადობა და ლოგიკური კავშირის უზრუნველყოფა. პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, ECTS კრედიტებით განსაზღვრული პროგრამის მოცულობა, პროგრამის მიზნები, დარგობრივი ცოდნის, ზოგადტრანსფერული თუ პრაქტიკული უნარების გამომუშავებისა და სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდოლოგია, ისევე როგორც სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. ○ სტუდენტთა შეფასების სისტემაში საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით ზუსტადაა განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმები. სტუდენტთა ცოდნის შეფასება ხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებისა და საბაკალავრო და სამაგისტრო სწავლების დებულების შესაბამისად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა v შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დოკუმენტაციის ანალიზიდან მტკიცდება, რომ უნივერსიტეტი მრავალმხრივ უწყობს ხელს სტუდენტების ჩართულობას კვლევითი პროექტების განხორციელებაში. უნივერსიტეტს გააჩნია საუნივერსიტეტო არქეოლოგიური მუზეუმი, დროებითი არქეოლოგიური ბაზა, საჭირო სამუშაო გარემო და ლაბორატორიები, რაც ხელს უწყობს სტუდენტების პრაქტიკული უნარების განვითარებას. იგივე შეიძლება ითქვას განახლებული სილაბუსების მიმართ, რომელთა დეტალური ანალიზი გვარწმუნებს, რომ პროგრამა სწავლის შედეგების შესაბამისად უზრუნველყოფს დარგობრივი და სატრანსფერო უნარების განვითარებას. სტუდენტის პრაქტიკული მუშაობის უნარების განვითარებისთვის არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამა ითვალისწინებს აუცილებელ საველე-არქეოლოგიურ პრაქტიკას, რომელიც ორგანიზირებული და დაგეგმილია სწავლის სასურველი შედეგების შესაბამისად, რაც არქეოლოგიურ გათხრებში მონაწილე სტუდენტს უფართოებს დარგისთვის მნიშვნელოვანი პრაქტიკული მუშაობის, ნივთიერი კულტურის ნიმუშების იდენტიფიცირების, საველე დღიურის წარმოების, პრაქტიკის ანგარიშის მომზადებისა და პრეზენტაციის უნარებს. საველე- არქეოლოგიური პრაქტიკის მდგრადობას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის

მხარდაჭერა, რომელიც პარალელურად ხელს უწყობს ბაკალავრების მონაწილეობას ახალგაზრდა არქეოლოგთა ყოველწლიურ კონფერენციებსა და სტუდენტთა სამეცნიერო სესიებში. სასწავლო ციკლის ბოლოს სტუდენტი ამზადებს და წარადგენს საბაკალავრო ნაშრომს, რომელიც ასევე ორიენტირებულია კვლევითი უნარების გამომუშავებაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები; ○ გამოგზავნილი დამატებითი დოკუმენტაცია.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაში, უფრო კონკრეტულად კი უცხოურ ენაში - ინგლისურში, ჩვენი აზრით, ჩასამატებელია პროფესიული ენის სწავლის კურსი, რაც კიდევ უფრო განავითარებს სწავლების ინტერნაციონალიზაციას და ხელს შეუწყობს უცხოური ლიტერატურის გამოყენებისა და გაგების ზრდას. ასევე ყურადღებაა გასამახვილებელი კანონის „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ უფრო ფუნდამენტურ შესწავლაზე. არქეოლოგიურ პრაქტიკას კი განხორციელების უფრო მდგრადი პირობები სჭირდება.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა v შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
○ განახლებულ სილაბუსებში გათვალისწინებულია უმაღლესი საგანმამანათლებლო დაწესებულებებისადმი წაყენებული სტანდარტები: სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდები, რომლებიც შეესაბამება ბაკალავრის სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. სასწავლო კომპონენტის განხორციელება ხდება კონკრეტული სასწავლო კურსისა და ამა თუ იმ სამეცნიერო თუ აკადემიური კომპონენტის სპეციფიკის გათვალისწინებით. გათვალისწინებულია სწავლების მრავალფეროვანი მეთოდი: წიგნზე მუშაობის, ახსნა-განმარტებითი, ჯგუფში მუშაობა, დისკუსია/დებატები, რეფერატის მომზადება, დემონსტრირება, საველე პრაქტიკა. ისინი სრულიად შეესაბამება საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს როგორც ცალკეული სასწავლო კურსის, ისე მთლიანად პროგრამის მიზნების განხორციელებას. ○ თვითშეფასების ანგარიშისა და თანდართული დოკუმენტების ანალიზის შედეგად ექსპერტთა ჯგუფი ასკვნის, რომ სწავლისა და სწავლების მეთოდები შეესაბამება უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისადმი წაყენებულ სტანდარტებს და უზრუნველყოფს საბაკალავრო საგანმანთლებლო პროგრამის ამოცანების მიღწევას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ საბაკალავრო სწავლების დებულები; ○ საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
v შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ექსპერტთა მიერ ონლაინ შეხვედრების ჩატარებისა და შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, რომ სტუდენტთა მიმართ გამოიყენება სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და ხასიათდება გამჭირვალობით. არქეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასა და სილაბუსებში ნათლად არის გაწერილი სტუდენტთა შეფასების ის კრიტერიუმები, რომელიც მიეწოდებათ სტუდენტებს სემესტრის დასაწყისში. შეფასების სისტემა ასევე წარმოდგენილია ელექტრონულ უწყისშიც. აღნიშნული ელექტრონული უწყისის მეშვეობით, სტუდენტს ეძლევა საშუალება, გაეცნოს შეფასების შედეგებს, იქონიოს უკუკავშირი ლექტორთან და საჭიროების შემთხვევაში, გაასაჩივროს დადგენილი წესით მიღებული შეფასება. აკადემიური მოსწრების მონიტორინგის აღნიშნული ელექტრონული სისტემა გამჭვირვალეა და უზრუნველყოფს ინფორმირებულობას მიღწეული შედეგების შესახებ. შეფასების კრიტერიუმების წინასწარი ცოდნა, აგრეთვე ინფორმაცია შუალედური და დასკვნითი შეფასებების შესახებ აძლევს სტუდენტს შესაძლებლობას გაითვალისწინოს საკუთარი ხარვეზები და იზრუნოს მათ გამოსწორებაზე. როგორც სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, სტუდენტები რეგულარულად იღებენ უკუგებას ლექტორების მხრიდან სწავლის შედეგებთან და მიღებულ შეფასებებთან დაკავშირებით. აქვე ხაზგასასმელია, რომ ონლაინ ვიზიტმა და შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობამ დაგვანახა, რომ შეფასების არსებული სისტემა, რომელიც რეგულირდება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების შესაბამისად, კარგადაა ცნობილი შემფასებლებისათვისაც. აკადემიური და მოწვეული პერსონალი იღებს ყველა საჭირო ინფორმაციას მოცემული კუთხით. შემფასებლები პერიოდულად მონაწილეობენ სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების გამოყენების მიზნით დაგეგმილ შეხვედრებში და იღებენ თანამედროვე

ინფორმაციას ამ მიმართულებით. აღნიშნული ნათლად არის ასახული თითოეული კურსის სილაბუსებშიც, რომლებშიც წარმოდგენილია სტუდენტთა შეფასების მრავალფეროვანი მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფენ პროგრამით გაწერილი სწავლის შედეგების ეფექტიანად მიღწევას. კერძოდ, სასწავლო კურსის მეთოდები მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: ზეპირი და წერილობითი დავალებების შესრულებას, პრაქტიკული მიმართულებით ამოცანების შესრულებას, ტესტირების ჩატარებას, ასევე ზეპირი ან/და წერითი გამოცდის ჩატარებას. შეფასების თითოეული ფორმისთვის დადგენილია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. გამოყენებული შეფასების სისტემა ითვალისწინებს პროგრამის კომპონენტის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებს, კომპონენტებსა და მეთოდებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სწავლის შედეგების მიღწევას. ხოლო შეფასების კრიტერიუმებით დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე. პროგრამის ფარგლებში სტუდენტები ასევე ამზადებენ საბაკალავრო კვლევით პროექტს/ნაშრომს, რომელიც ფასდება 5 წევრისაგან შემდგარი კომისიის მიერ, რომელიც მტკიცდება დეპარტამენტის წარდგენით ფაკულტეტის დეკანის ბრძანებით. საბაკალავრო ნაშრომის შესრულების წესი და შეფასების მექანიზმები რეგულირდება აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 იანვრის №01-05-04/12 დადგენილებით და შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსით. თუმცა ხაზგასასმელია, რომ საბაკალავრო ნაშრომი არ გადის შემოწმებას პლაგიატზე. ონლაინ ვიზიტისას გამოიკვეთა, რომ დაგეგმილია მოცემული მიმართულებით გარკვეული ღონისძიებები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- არქეოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა;
- ინტერვიუს შედეგები აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- სასწავლო კურსის სილაბუსები;
- განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანება;
- სტუ-ს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა https://leqtori.gtu.ge/2017_2018/I/B/info;
- ელექტრონული ბაზა https://vici.gtu.ge;
- ფაკულტეტის ვებგვერდი;
- აკადემიური საბჭოს 2019 წლის 22 იანვრის №01-05-04/12 დადგენილების დანართი საბაკალავრო კვლევითი პროექტის/ნაშრომის შესრულების წესის თაობაზე: https://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/2sabalavro_%20nashromi_%202019_SD.pdf.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, დაჩქარდეს პლაგიატის პროგრამის დანერგვისაკენ მიმართული ღონისძიებები, რათა მოხდეს სტუდენტთა სამეცნიერო ნაშრომების აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების გათვალისწინებით შესრულება.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა v შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	V			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

როგორც ონლაინ-ვიზიტის შედეგად ჩატარებული ინტერვიუებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, პროგრამა გამოირჩევა იმ მექანიზმების მრავალფეროვნებით, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან სტუდენტებისათვის სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების, დასაქმებისა და კარიერული განვითარების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაზე, კერძოდ სტუდენტებთან კომუნიკაცია დაუბრკოლებლად ხორციელდება ელექტრონული ფოსტის და სატელეფონო კომუნიკაციის მეშვეობით. პროგრამის სტუდენტებს საჭირო ინფორმაციას აწვდიან და სასწავლო პროცესებთან დაკავშირებით კონსულტაციებს უტარებენ როგორც უნივერ-სიტეტის ადმინისტრაციული სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები, ასევე ფა-კულტეტისა და პროგრამაში ჩართული პერსონალიც. სტუდენტებს ასევე საშუალება აქვთ გაეცნონ საჭირო ინფორმაციას პროგრამის, სასწავლო პროცესის, საუნივერსიტეტო სერვისების, სხვადასხვა დაგეგმილი ადგილობრივი და საერთაშორისო ღონიძიებებისა და პროექტების თაობაზე ფაკულტეტის ოფიციალური ვებგვერდის მეშვეობითაც. აღსანიშნავია, რომ მოცემულ ვებგვერდზე განთავსებული გზამკვლევის საშუალებით სტუდენტი იღებს ინფორმაციას ჩატარებული, მიმდინარე და დაგეგმილი კონფერენციების, გაცვლითი პროგრამების, გრანტების, კარიერული განვითარებისა და საჯარო ლექციების შესახებ (მაგალითად, სტუდენტები აქტიურად მონაწილეობდნენ ბოხუმის (გერმანია) უნივერსიტეტის პროფესორის ჩართულობით გამართულ სემინარებში). აქვე აღსანიშნავია, რომ სტუდენტების ინფორმირებისა და კონსულტირების პროცესში ასევე ჩართულნი არიან ფაკულტეტის დეკანატის, ხარისხის უზრუნველყოფისა და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურების წარმომადგენლები. სტუდენტებს ასევე საშუალება აქვთ აკადემიურ პერსონალთან განსაზღვრულ ინდივიდუალურ საკონსულტაციო საათებში მიიღონ ყველა საჭირო დახმარება და ინფორმაცია. სტუდენტთან ინდივიდუალური კონსულტაციები ტარდება კვირაში ერთხელ ონლაინ. როგორც ონლაინ-ვიზიტისას შესაბამის ფოკუს-ჯგუფებთან ჩატარებული ინტერვიუებიდან და შესაბამისი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად გამოიკვეთა, სტუდენტები ჩართულნი არიან ჩართულნი პროგრამის განვითარებისა და შეფასების პროცესშიც. პერიოდულად ტარდება სტუდენტების როგორც საუნივერსიტეტო, ასევე საფაკულტეტო და უშუალოდ პროგრამის შიდა გამოკითხვა, რომლითაც ფასდება როგორც საგანმანათლებლო პროგრამა და მისი უზ-რუნველყოფისათვის აუცილებელი ადამიანური და მატერიალურ ტექნიკური რესურსები, ასევე ზოგად საუნივერსიტეტო სერვისის ხარისხიც. თუმცა, აღსანიშნავია რომ სტუდენტე-ბისათვის აღნიშნულ გამოკითხვის პროცესებში მონაწილეობა და კითხვარების შევსება ნებაყოფლობით ხასიათს ატარებს, რაც თავის მხრივ განაპირობებს გამოკითხულს სტუდენტთა დაბალ რიცხობრივ მაჩვენებელს. აქვე ხაზგასასმელია, რომ მოცემული პროგრამის სტუდენტებს საშუალება აქვთ მიიღონ მონაწილეობა უნივერსიტეტისა და ფაკულტეტეტის მიერ დაგეგმილ სტუდენტთა ღია საერთაშორისო კონფერენციებსა და შეხვედრებში. მაგალითად, მოცემული პროგრამის სტუდენტები მონაწილეობდნენ 2019 წელს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე გამართულ სტუდენტთა 87-ე ღია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში. ამასთანავე პროგრამის სტუდენტები 2020-21 წლების განმავლობაში მონაწილეობდნენ ალგეთის ხეობაში, მცხეთაში, თბილისის ზღვაზე, თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ამლევში დაგეგმილ და განხორციელებულ საექსპედიციო

ღონისძიებებში. თუმცა მიუხედავად კოვიდ პანდემიით გამოწვეული შეზღუდვებისა და შემაფერხებელი გარემოებებისა, სასურველია მოხდეს კიდევ უფრო მეტი სტუდენტის ჩართულობის ხელშეწყობა აღნიშნულ ღონისძიებებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ არქეოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა; ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ თანამშრომლობის მემორანდუმები; ○ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; ○ ფაკულტეტის ვებგვერდი; ○ ინტერვიუ პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ○ ინტერვიუ თვითშეფასების ჯგუფთან; ○ სტუდენტთა 87-ე ღია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის შეძლებისდაგვარად სასურველია ხელი შეეწყოს უფრო მეტი სტუდენტის ჩართულობას საველე საქმიანობასა და პრაქტიკულ ღონისძიებებში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა v შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი
მტკიცებულებები/ინდიკატორები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	V			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;

პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა, განათლება და გამოცდილება მნიშვნელოვანწილად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას. როგორც წესი, მის განხორციელებაში ჩართული არიან შესაბამის სექტორში გამოცდილი კადრები.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო რაოდენობა და აკადემიური დატვირთვა უზრუნველყოფს არქეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვასა და კვლევითი საქმიანობის განხორციელებას. აკადემიური პერსონალი სიღრმისეულად ფლობს დარგობრივი სფეროების თეორიას, პრაქტიკას, მეთოდებსა და პედაგოგიურ უნარებს.
- პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც პროგრამაში ჩართულ პროფესორ-მასწავლებლებთან ერთად პასუხისმგებელია სილაბუსების ხარისხსა და პროგრამის შესაბამისობაზე ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებთან. პროგრამის ხელმძღვანელი პროგრამის განვითარების პროცესში, კოორდინირებას უწევს პროგრამაში მონაწილე აკადემიური პერსონალის ჩართულობას.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი ერთადერთი უმაღლესი სასწავლო დაწესებულებაა საქართველოში, რომელსაც სასწავლო პროგრამაში შეუძლია არქეოლოგიური და ისტორიული დისციპლინებთან ერთად მაქსიმალურად ჩართოს საბუნებიმეტყველო და ტექნიკური დისციპლინები თავიანთი ლაბორატორიებით, რაც არქეოლოგიურ მეცნიერებაში თანამედროვე გამოწვევებისადმი ადეკვატურ პასუხს წარმოადგენს და საშუალებას აძლევს უსდ-ს ერთ-ერთი ყველაზე კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებულები მიაწოდოს შრომის ბაზარს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- არქეოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- თანამშრომლობის მემორანდუმები;

- სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები;
- ფაკულტეტის ვებგვერდი;
- ინტერვიუ პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან;
- ინტერვიუ თვითშეფასების ჯგუფთან

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

ზოგიერთ სპეციალიზაციის განმსაზღვრელ საგანში, უპრიანი იქნებობა მოწვეული პროფესიონალების გამოყენება, რაც კიდევ უფრო მეტად უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; მიგვაჩნია, რომ აუცილებელია პროგრამის ხელმძღვანელის კიდევ უფრო მჭიდრო კომუნიკაცია ფაკულტეტის ხარისხის სამსახურთან. ასევე მნიშვნელოვანია სწავლების ინტერნაციონალიზაციის კუთხით მეტი ძალისხმევის გამოჩენა.

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

v შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის ხელმძღვანელის და პროფესორ-მასწავლებლების მიერ შედგენილი სილაბუსები შესაბამისობაშია ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებთან. დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს; უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას, კერძოდ ლექტორ-მასწავლებლებს საშუალება აქვთ გაეცნონ საჭირო ინფორმაციას სხვადასხვა დაგეგმილი ადგილობრივი და საერთაშორისო ღონიძიებებისა და პროექტების (მიმდინარე და დაგეგმილი კონფერენციები, გაცვლითი პროგრამები, გრანტები, საჯარო ლექციები, კარიერული განვითარების შესაძლებლობები და სხვ.) შესახებ ფაკულტეტის ოფიციალური ვებგვერდის მეშვეობით. ასევე პრაქტიკოს არქეოლოგებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ალგეთის ხეობაში, მცხეთაში, თბილისის ზღვაზე, თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ამლევში განხორციელებულ საექსპედიციო ღონისძიებებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

○ არქეოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამა; ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ თანამშრომლობის მემორანდუმები; ○ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; ○ ფაკულტეტის ვებგვერდი; ○ ინტერვიუ პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ○ ინტერვიუ თვითშეფასების ჯგუფთან
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა v შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად. ბიბლიოთეკა, ლაბორატორიები, სამუშაო თუ სასწავლო ოთახები სრულად შეესაბამებიან უსდ-მი წაყენებულ სტანდარტებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უსდ-ში ფუნქციონირებს არქეოლოგიის სასწავლო-კვლევითი ლაბორატორია, სადაც არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული ნივთიერი მასალის სარესტავრაციო საქმიანობა მიმდინარეობს; პეტროგრაფიული კვლევის ლაბორატორიაში ხდება ქანების წარმომავლობის დადგენა; მინერარლოგიის ლაბორატორრიაში მინერალების ქიმიური და ფიზიკური თვისებების განსაზღვრა ხორციელდება; რენტგენოფლოურეცენტრული ლაბორატორია არის მინერალის, ქანის,ლითონის შემადგენელი ქიმიური ელემენტების განსაზღვრის სამეცნიერო ცენტრი; გემოლოგიის ლაბორტორიაში კი ძვირფასი და ნახევრადძვირფასი მინერალების დიაგნოსტიკა ხორციელდება. ყოველივე ეს აღნიშნულ უსდ-ს საქართველოსთვის უნიკალურ და შეუცვლელ სტატუსს ანიჭებს, თუმცა შემდგომი ტექნიკური მოდერნიზაცია ახლო მომავლის გამოწვევად მიგვაჩნია. ამ მხრივ ერთ-ერთი დამსაქმებლის მიერ სამთო-გეოლოგიური ტექნოლოგიების ცენტრის გახსსნა ნამდვილად მისასალმებელი პრაქტიკაა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები მონიტორინგი ადგილზე
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის სასურველად მიგვაჩნია არსებული ლაბორატორიების შემდგომი ტექნიკური მოდერნიზაცია.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი სამთო-გეოლოგიური ტექნოლოგიების ცენტრის გახსსნა.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა v შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საბაკალავრო პროგრამის ფინანსურ მდგრადობას განაპირობებს უნივერსიტეტის ცენტრალური ბიუჯეტი, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურებას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას. თანხები, რომელიც გამოყოფილია სასწავლო და სამუზეუმო პრაქტიკისათვის მნიშვნელოვანწილად აკმაყოფილებს იმ ამოცანების შესრულებას, რომლებიც დასმულია საგანმანათლებლო პროგრამის მიერ. თუმცა, ექსპერტთა ჯგუფმა პროგრამის საფინანსო დოკუმენტებში ვერ მოიძია ის მონაცემები, რომლებიც არქეოლოგიური პრაქტიკისათვის თანხის გამოყოფის ნათელ და გამჭირვალე მექანიზმს ასახავს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ○ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები; ○ ინტერვიუ პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან; ○ ინტერვიუ თვითშეფასების ჯგუფთან
რეკომენდაციები: უფრო გამჭირვალე უნდა გახდეს არქეოლოგიური პრაქტიკისათვის თანხის გამოყოფის მექანიზმი.
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან v მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	V			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტში განხორციელებული სააკრედიტაციო ვიზიტის დროს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის, თანდართული დოკუმენტებისა და აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუების, ასევე ვიზიტის დროს ექსპერტთა მოთხოვნის საფუძველზე, დაწესებულების მიერ დამატებით წარმოდგენილ დოკუმენტებზე დაყრდნობით, განხორციელდა დაწესებულებაში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების შეფასება სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამასთან მიმართებით. დაწესებულების წარმომადგენელთა განცხადებით, უნივერსიტეტში განხორციელდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რეორგანიზაცია, შეიცვალა მათი ფუნქციები და ვალდებულებები, გაიზარდა მათი ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესში. როგორც წარმოდგენილი და დაწესებულების ვებ-გვერდზე განთავსებული დოკუმენტაციიდან ირკვევა, უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების განხორციელება უზრუნველყოფილია დაწესებულების მიერ შემუშავებული მთელი რიგი შიდა აქტების მეშვეობით: 1. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 17 იანვრის N01-06-02/05 დადგენილებით დამტკიცებული **„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება“;** 2. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 17 აპრილის N01-05-04/108 დადგენილებით დამტკიცებული **„საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“;**

3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის 2016 წლის 28 მარტის N42 ბრძანება **„საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიების შესახებ“;**

4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენილობითი საბჭოს 2019 წლის 23 სექტემბრის N01-05-04/261 დადგენილებით დამტკიცებული **„საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფ/ებისა და განვითარების წესი“;**

5. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 27 სექტემბრის დადგენილება № 531 **„სტუ-ს პროფესორ-მასწავლებელთა შეფასების სისტემისა და რეაგირების შესახებ“;**

6. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 6 მაისის დადგენილება № 450[1] **„სტუ-ს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესის შესახებ“;**

7. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 10 ნოემბრის დადგენილება № 2627 „**სასწავლო კურსის (საგნის) კოდის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“**

8. სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო დადგენილება № 01-05-04/346 **„სასწავლო კურსის პროგრამის (სილაბუსის) განხილვისა და დამტკიცების წესის შესახებ.“**

ზემოთ ჩამოთვლილი აქტები, კანონმდებლობისა და თანამედროვე სარეკომენდაციო მიდგომების გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებისა და მათი პრაქტიკული განხორციელების პროცესების რეგულირებას.

უნივერსიტეტში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების შესახებ აქტი, რომელიც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ფუნქციონირებისათვის საჭირო ერთ-ერთი უმთავრესი დოკუმენტია უნივერსიტეტში, წარმოადგენს საკმაოდ მოცულობით და მრავალფეროვან დოკუმენტს და რომელშიც მოცემულია ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები და ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ფუნქციონირებს PDCA (დაგეგმე - განახორციელე - შეამოწმე - განავითარე) ციკლის პრინციპებზე დაყრდნობით. გარდა აღნიშნულისა, დოკუმენტი ადგენს ხარისხის უზრუნველყოფისათვის საჭირო მრავალფეროვან მექანიზმებს, როგორიცაა პროგრამების შემუშავებისა და დამტკიცებისათვის საჭირო პროცედურები, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლა-სწავლებისა და შეფასების პროცესი, სტუდენტთა მიღება, პროგრესია, აღიარება და სერტიფიცირება, მათი უზრუნველყოფა შესაბამისი რესურსებით (როგორც ადამიანური, ისე მატერიალური და ტექნიკური), სტუდენტების უზრუნველყოფა მუდმივად განახლებადი ინფორმაციით, ასევე უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების მუდმივი მონიტორინგი და საგანმანათლებლო პროგრამების პერიოდული შეფასება და ა.შ. აღსანიშნავია, რომ აქტი, უფრო წარმოადგენს ჩარჩო-დოკუმენტის მსგავს დოკუმენტს, რომელში ჩამოთვლილი ყველა მექანიზმი, ცალ-ცალკე წარმოადგენს ხარისხის სამსახურის მიერ უზრუნველსაყოფი მოცულობითი პროცესის საფუძველს. შესაბამისად, მიზანშეწონილია თითოეული მათგანის განხორციელების მიმდინარეობა მოწესრიგებული იყოს დაწესებულების მიერ შემუშავებული შიდა აქტებით, საიდანაც მკაფიოდ გამოიკვეთება ამ მექანიზმების პრაქტიკაში

განხორციელების პროცესი, კერძოდ, ამ პროცესის დაგეგმვაზე, განხორციელებაზე, საბოლოო შედეგების/დასკვნის დადებასა და აღნიშნული შედეგების უნივერსიტეტის შემდგომ საქმიანობაში იმპლემენტაციაზე/გათვალისწინებაზე პასუხისმგებელი სუბიექტები, მათი უფლებებითა და მოვალეობებით. თუმცა აკრედიტაციის პროცესში განხორციელებული ინტერვიუს პროცესში, გამოიკვეთა, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს კონკრეტული საკითხების მომწესრიგებელი აქტები იმ პროცესების განმახორციელებისათვის, რომლებიც აუცილებელია ხარისხის უზრუნველყოფისათვის, ხოლო აკადემიურ საბჭოზე განსახილველად წარდგენილია ხარისხის უზრუნველყოფის მომწესრიგებელი შესაბამისი მექანიზმებისა და მათი იმპლემენტაციის პროცესის თაობაზე შემუშავებული, განახლებული დოკუმენტი განხილვისა და შემდგომი დამტკიცებისათვის. აღნიშნული აქტის ძალაში შესვლის შემდგომ, მოწესრიგდება ხარისხის უზრუნველყოფისათვის საჭირო ყველა პროცესი. თუმცა აქვე აღსანიშნავია, რომ ინტერვიუს პროცესმა გამოკვეთა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის აქტიური თანამშრომლობა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან. ისინი მუდმივად იღებენ ინფორმაციას, მხარდაჭერასა თუ საჭირო ცოდნას მათი საქმიანობის მიზნებისათვის. მათი საქმიანობა შეფასებას ექვემდებარება როგორც სტუდენტების, ისე ხარისხის სამსახურის მიერ. სტუდენტთა გამოკითხვები უზრუნველყოფილ იქნა ელექტრონულად, google drive-ის მეშვეობით. აღნიშნულ გამოკითხვას არ ჰქონდა სავალდებულო ხასიათი. გამოკითხვის შედეგები კი ეცნობება პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს. ამასთან, ინტერვიუს პროცესში ხარისხის სამსახურმა განმარტა, რომ პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობს მუშაობა ამ გამოკითხვების მნიშვნელობის შესახებ სტუდენტთა ცნობიერების ამაღლების შესახებ. გარდა ამისა, დაწესებულება მუშაობს აღნიშნული გამოკითხვების ფუნქციონალის განვითარებაზე შიდა საუნივერსიტეტო ელექტრონულ პლატფორმაზე, რომელიც უზრუნველყოფს უფრო ობიექტური და სრული სურათის მიღებას.

ამასთან, ინტერვიუს პროცესმა გამოკვეთა, რომ ხარისხის შეფასების შედეგები პერსონალის მიერ გამოიყენება პროგრამის განვითარების მიზნებისათვის, თუმცა სასურველია, რომ ამ პროცესს უფრო სისტემატიური და ინტენსიური სახე ჰქონდეს. პროგრამის ხელმძღვანელი უფრო მეტად იყოს ჩართული ამ პროცესში და მუდმივად ახორციელებდეს ხარისხის შეფასების შედეგების საფუძველზე უკუკავშირს როგორც აკადემიურ, ისე მოწვეულ პერსონალთან და იყენებდეს ამ შესაძლებლობას პროგრამის გაუმჯობესების მიზნებისათვის.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენილობითი საბჭოს 2020 წლის 17 იანვრის N01-06-02/05 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება“;
- სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 17 აპრილის N01-05-04/108 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები“;
- სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის 2016 წლის 28 მარტის N42 ბრძანება „საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების საფაკულტეტო კომისიების

შესახებ“; ○ სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენილობითი საბჭოს 2019 წლის 23 სექტემბრის N01-05-04/261 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი“; ○ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 27 სექტემბრის დადგენილება № 531 „სტუ-ს პროფესორ-მასწავლებელთა შეფასების სისტემისა და რეაგირების შესახებ“; ○ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2011 წლის 6 მაისის დადგენილება № 4501 „სტუ-ს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შეფასების წესის შესახებ“; ○ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისმიერ განხორციელებული გამოკითხვის შედეგები; ○ თვითშეფასების განაცხადი; ○ აკრედიტაციის პროცესში განხორციელებული ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: რეკომენდებულია, აკადემიური პერსონალი და პროგრამის ხელმძღვანელი უფრო ინტენსიურად თანამშრომლობდეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, შესაბამისი შეფასების შედეგების ანალიზი საფუძველზე კი ხორციელდებოდეს ღონისძიბების დაგეგმვა პროგრამის შემდგომი განვითარებისა და გაუმჯობესებისათვის.
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის მიზანშეწონილია, დაწესებულებამ დროულად უზრუნველყოს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების განსაზღვრისა და პრაქტიკაში გამოყენების წესის ერთიანი აქტის დამტკიცება და შემდგომ დანერგვა, რომელიც სავალდებულოდ მოაწესრიგებს კანონმდებლობით დადგენილ პროცესებს უნივერსიტეტის საქმიანობის ხარისხის უზრუნველყოფის მიზნებისათვის და რომელიც დაადგენს ამ მექანიზმების გამოყენების სავალდებულო პროცედურებს, მათი განხორციელების წესებსა და პასუხისმგებელ სუბიექტებს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან შესაბამისობაშია მოთხოვნებთან V მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების გარე მექანიზმები ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 65/ნ ბრძანებას „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ და განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 99/ნ ბრძანებას „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“. არქეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას, აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 2 მარტის №17 გადაწყვეტილებით, მიენიჭა პირობითი აკრედიტაცია. პროგრამის შეფასების დროს ექსპერტების მიერ გამოთქმული შენიშვნები და რეკომენდაციები გაზიარებულ იქნა აკრედიტაციის საბჭოს მიერ. რიგი რეკომენდაციებისა დაწესებულების მიერ გათვალისწინებული და შესრულებულია. 5.2 სტანდარტის თაობაზე დაწესებულებას მიეცა რჩევა უფრო მეტად განეხორციელებინა დამსაქმებელთა ჩართულობა პროგრამის განვითარების მიზნებისათვის. ამდენად, როგორც თვითშეფასებაშია აღნიშნული, განახლებული პროგრამა შეფასებისათვის გაეგზავნა პარტნიორ დაწესებულებებსა და დამსაქმებლებს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილია დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები, ასევე უკუკავშირი სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისგან. მიუხედავად აღნიშნულისა, იქმნება შთაბეჭდილება, რომ აღნიშნული გამოკითხვა ფორმალურ ხასიათს ატარებს, შესაბამისად, მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს სათანადო რესურსის გამოყოფა პროგრამის გარე შემფასებლებთან ინტენსიური თანამშრომლობისათვის, ხოლო გამოკითხვებს ჰქონდეს რეგულარული ხასიათი, რათა უზრუნველყოფილ იქნეს პროგრამის მუდმივი შესაბამისობა და განვითარება თანამედროვე მოთხოვნებსა და რეკომენდაციებთან. სასურველია, პროგრამის განვითარებისათვის გამოყენებულ იქნეს კოლეგიალური შეფასებაც, იმის გათვალისწინებით, რომ ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში არქეოლოგიის უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებების რიცხვი მცირეა. შესაბამისად, შეფასების ამ ფორმას ამ მიმართულების განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების ანგარიში; ○ აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 2 მარტის N17 გადაწყვეტილება; ○ ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის მიზანშეწონილია, უნივერსიტეტმა უზრუნველყოს გარე შეფასების მექანიზმების (დამსაქმებელთა ჩართულობა, კოლეგიალური შეფასება, სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობა) რეგულარულად და უფრო მეტი ინტენსივობით და აღნიშნული მექანიზმების გამოყენებას არ ჰქონდეს მხოლოდ ფორმალური ხასიათი, კონკრეტულ პერიოდში აკრედიტაციის პროცესის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით, უნივერსიტეტმა განახორციელა პროგრამის მონიტორინგი და შეაფასა პროგრამის განხორციელების პროცესი. შეფასებაში მონაწილეობა მიიღო უნივერსიტეტის აკადემიურმა პერსონალმა, სტუდენტებმა, კურსდამთავრებულებმა და დამსაქმებლებმა. გამოკითხვის საფუძველზე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ადგენს გამოკითხვაში მონაწილე პირთა კატეგორიის საჭიროებებსა და მოლოდინებს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების

პროცესში. ამასთან, გამოკითხვის შედეგების გაანალიზების საფუძველზე, ხორციელდება პროგრამის მოდიფიცირება. დაწესებულებამ განახორციელა შრომის ბაზრის კვლევა დამსაქმებელთა მოლოდინებისა და საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით. თუმცა აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ კვლევაში მონაწილეობა მიღებული აქვს მხოლოდ ორ სუბიექტს. ობიექტური სურათის მისაღებად კი მიზანშეწონილია განხორციელებულიყო აღნიშნული მიმართულებით არსებული სხვა ორგანიზაციების, როგორც დამსაქმებლების კვლევა.

როგორც თვითშეფასებაშია აღნიშნული და ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული ინტერვიუებიდანაც დგინდება, პროგრამა, ასევე მისი შემადგენელი ცალკეული სასწავლო კომპონენტები პერიოდულად ფასდება სტუდენტების, ასევე კურსდამთავრებულების მიერ. თუმცა ინტერვიუების შედეგად, ასევე გამოიკვეთა, რომ ამ შეფასებას აკლია სისტემატიური ხასიათი, ვინაიდან სხვადასხვა პირთა წრესთან გასაუბრებამ გამოკვეთა განსხვავებული სურათი. თუმცა აღსანიშნავია უნივერსიტეტის პერსონალის აქტიური მონაწილეობა პროგრამის მონიტორინგის პროცესში და შესაბამისი შედეგების ანალიზი შემდგომი საქმიანობისათვის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის პროცესში ჩატარებული ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ უნივერსიტეტს სჭირდება მკაფიოდ შემუშავებული პოლიტიკა, შესაბამისი აქტით გამყარებული განხორციელების პროცესი და მექანიზმები პროგრამის მონიტორინგისა და პერიოდული შეფასების მიზნით. აუცილებელია, დაწესებულებაში არსებობდეს დოკუმენტი, რომლითაც ნათლად იქნება დადგენილი პროგრამის, ასევე ცალკეული სასწავლო კომპონენტის შეფასებისა და განვითარების მიზნით, გამოკითხვებისა და შესაბამისი პირთა წრის კმაყოფილების კვლევის განხორციელების სიხშირე (ყოველი სემესტრისა თუ წლის ბოლოს), მექანიზმები (რომლებიც ხელმისაწვდომს გახდის შემუშავებულ კითხვარებს შესაბამისი კატეგორიის პირთა რაც შეიძლება ფართო წრისათვის), მისი განხორციელების სავალდებულო ხასიათი, განმახორციელებელი პასუხისმგებელი პი(ებ)ი, შეგროვებული მონაცემების დამუშავებისა და აღნიშნულის საფუძველზე მიღებული შედეგების პროგრამის განვითარების მიზნებისათვის გამოყენების პროცესი. დაწესებულებას შემუშავებული აქვს გამოკითხვის ფორმები, თუმცა ამ პროცესებში სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების ჩართულობის მაჩვენებელი დაბალია. ამდენად, პროცესს აკლია მონაცემთა შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის სისტემურობა, რაც თავის მხრივ, წარმოადგენს ობიექტური სურათის დანახვის საშუალებას, პროგრამის შემდგომი განვითარების მიზნებისათვის. ფორმალურად, მხოლოდ კონკრეტული ვადამოსული ვალდებულების, ამ შემთხვევაში, აკრედიტაციის სტანდარტების დასაკმაყოფილებლად განხორციელებული ღონისძიება არ წარმოადგენს პროგრამის განვითარების მყარ საფუძველს. თუმცა ექსპერტთა ჯგუფი ითვალისწინებს იმასაც, რომ უნივერსიტეტში განხორციელდა მნიშვნელოვანი ორგანიზაცული თუ შინაარსობრივი ცვლილებები, რასაც ცხადყოფს უნივერსიტეტის პერსონალთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუს შედეგები. შესაბამისად, აკრედიტაციის საბჭოს წინა გადაწყვეტილებით გაწერილი რეკომენდაციების შესრულებისათვის საკმაოდ მოცულობითი სამუშაოებია გაწეული, თუმცა აღნიშნული არაა საკმარისი, ვინაიდან საჭიროა, უნივერსიტეტში არსებობდეს ხარისხის

უზრუნველყოფის სისტემა, რომლის შემადგენელი კომპონენტების შესრულება უზრუნველყოფს PDCA ციკლის მუდმივ განხორციელებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ○ თვითშეფასების განაცხადი და თანდართული დოკუმენტები; ○ აკრედიტაციის საბჭოს 2020 წლის 2 მარტის N17 გადაწყვეტილება; ○ აკრედიტაციის პროცესში განხორციელებული ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): **დამსაქმებელთა აქტიური ჩართულობა პროგრამის განხორციელებაში**
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა V შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	V			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:
არქეოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 38

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	V			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	V			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	V			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	V			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	V			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ემზარ კახიძე

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი

კოტე ფიცხელაური

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრი

სოფიო უგრეხელიძე

აკრედტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრიი

ნანა ფირცხელანი